



თბილისის სააპელაციო სასამართლო  
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა  
საქართველოს სახელით

საქმე №28/5516-15

9 მარტი, 2016 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა  
თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი  
მოსამართლეები - ბესარიონ ტაბალუა, გოდერძი გიორგიშვილი

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი – ი. ხ.

წარმომადგენელი - მ. ქ.

გასაჩივრებული განჩინება – ხაშურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

**გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინებით ი. ხ.-ს სარჩელი მოპასუხეების: ლ. ლ.-ს და რ. შ.-ს მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის და მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის თაობაზე არ იქნა მიღებული (ს.ფ. 50-52).

სასამართლოს მოტივაცია ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელს სახელმწიფო ბაჟის სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ ერთვის, კერძოდ, სარჩელის ფასია 25 000 ლარი, მოსარჩელეს გადახდილი აქვს 120 ლარი და არა დავის საგნის ღირებულების 3 % - 750 ლარი, რაც სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველია.

სასამართლომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინებაში ასევე განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობის უტყუარი მტკიცებულებები



წარმოდგენილი არ არის, ხოლო შუამდგომლობაში მითითებული გარემოებებზე მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება.

მითითებულ განჩინებაზე 2015 წლის 20 ნოემბერს ი. ხ.-ს წარმომადგენელმა, მ. ქ.-მ კერძო საჩივარი წარადგინა, რითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა (ს.ფ. 55-57).

**პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა პასუხობდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით.

ამავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, **სარჩელს უნდა ერთვოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი)**, ხოლო ამავე მუხლის მე-3<sup>1</sup> ნაწილის თანახმად კი, სასამართლოს უნდა წარედგინოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

აღნიშნული ნორმების შესაბამისად, **სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების ან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობას შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე. ამდენად, აღნიშნული გარემოების უტყუარად დადასტურების ტვირთი ეკისრება მხარეს, რომელიც ითხოვს სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადებას ან შემცირებას ან მისი გადახდისაგან გათავისუფლებას.**

პალატა განმარტავს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, მოსარჩელე არა ბაჟისგან გათავისუფლებას, არამედ მის შემცირებას ან გადავადებას ითხოვს და წარმოდგენილი აქვს შემდეგი მტკიცებულებები:

მოსარჩელე ი. ხ.-ს მამა - ნ. ხ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია და სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის განყოფილებაში აღრიცხვაზე იმყოფება (ს.ფ. 40-41); დედა - ი. ხ. სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩხერის განყოფილებაში აღრიცხვაზე იმყოფება, როგორც ასაკით პენსიონერი (ს.ფ. 42); მოსარჩელის მშობლები სოციალურად დაუცველთა სიაში არიან რეგისტრირებულები (ს.ფ. 43); თავად მოსარჩელე კი მშობლებთან ერთად ცხოვრობს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. ს.-ს ადმინისტრაციულ ერთეულში (ს.ფ. 58).



პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის შუამდგომლობა ბაჟის გადავადებაზე ან შემცირებაზე ყველა შესაძლო მტკიცებულებითაა გამყარებული, რაც სასამართლოს მხრიდან სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების ან შემცირების საკითხზე მსჯელობის წინაპირობაა.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო სამართალწარმოების მიზნებისა და სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, ასევე ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპის მხედველობაში მიღებით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინება უნდა გაუქმდეს და პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის დასაშვებობაზე ხელახლა უნდა იმსჯელოს მოსარჩელის მიერ დაყენებული შუამდგომლობის გათვალისწინებით. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა კი, პირველ რიგში, იმ გარემოებით არის განპირობებული, რომ მხარეს სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება არ შეეზღუდოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ი. ხ.-ს წარმომადგენლის, მ. ქ.-ს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ უნდა გაუქმდეს და საქმე სარჩელის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე, 178-ე, 377-ე, 390-ე, 393-ე, 394-ე, 420-ე მუხლებით და

## და ა დ გ ი ნ ა

1. ი. ხ.-ს წარმომადგენლის, მ. ქ.-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ხაშურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და საქმე სარჩელის დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები ბესარიონ ტაბაღუა

გოდერძი გიორგიშვილი